ივერიელი

მეორე წელიწადი · ფასი 5 კაპ. · ხუთშაბათი, 19 მაისი 1916 წ. · № 111

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მწუხარებით გულმოკლული მეუღლე ელენე ლუარსაბის ასული დარჩიაშვილისა აუწყებს ნათესავთა და მეგობართ, რომ გარდაიცვალა მისი დაუვიწყარი მეუღლე

ლადო ივანეს ძე

დარჩიაშვილი

პირველი პანაშვიდი გადიხადეს ქუთაისში გუშინ, 18 მაისს, საღამოს 6 საათზე. მეორე დანიშნულია დღეს, იმავე დროს. (საკუთარი სახლი, ოლდენბურგის ქუჩა). (1—104—1)

ხუთშაბათს, 19 მაისს, ბრძოლის ველზე გმირულ გარდაცვალების წლის თავზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი პრაპორშჩიკის

შალვა ამბრიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დები მისი: ვერა, თამარ, ბაბო და სიძე მისი მღ. თეოფილაკტე ლაფერაშვილი. (1—189—1)

გულმოკლული მეუღლე მანანა შვილებით და ძმა ილიკო ისაკის ხოსიტაშვილი მეუღლით გულითადს მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც წერილობით, დეპეშით, თუ პირადად გაიზიარეს მათი მწუხარება დაუვიწყარ და ძვირფასს

იროდიონ ისაკის ძე ევდოშვილ-ხოსიტაშვილის

დაკრძალვის გამო. (1—100—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131)

პარასკევს, 20 მაისს, 1916 წ.

ბაღში დაუკრავს საზანდარი

საზაფხულო სცენაზე წარმოდგენილი იქნება რუსული წარმოდგენა

მონაწილეობენ **სახაზინო თეატრის არტისტები**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

1—105—1 წარმოდგენაზე დასწრება უფასოა.

„ახალი კლუბის" ბაღში

კვირას, 22 მაისს, 1916 წელს,

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა

ლატარია ალეგრით

(წმ. შემოსავლის 10% გადაიდება ქართველ მოღვაწეთა პანთეონისათვის)

გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, ყვავილები ფოსტა, რგოლების სროლა, ტუმბო და სხვა. საბავშვო გასართობები, კიოსკები წიგნებისა, სეირნობის დროს დაუკრავს ორკესტრი და საზანდარი.

დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზე.

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 40 კაპ. პატარებისათვის და მოწაფეთათვის 25 კაპ. 3—98—1

ახალი კლუბი

კვირას, 22 მაისს

ქრისტეფორე (ჩიტო) კაპანაძე

ქართულად წაიკითხავს **ლექციას** „ისტორია საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიისა"

დასაწყისი შუადღის 12 ნახევარ საათზე

ბილეთები იყიდება **„საქართველოს"** რედაქციაში, 10—2 საათამდე, ხოლო ლექციის დღეს ახალ კლუბის შესავალთან, დილის 10 საათიდან.

ბილეთის ფასი 50 კ.-დან 3 მანეთამდე გამგე **სანდრო შანშიაშვილი**

ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხაილოვის პროსპექტი № 131.

ხუთშაბათს, მაისის 19-ს გაიმართება

დიდი სეირნობა

მრავალფეროვანის პროგრამით. ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ნივთიერად გასაძლიერებლად.

სამხედრო მუსიკა, საზანდარი, ზურნა, მომღერალთა გუნდი (ქართულ ეროვნულ ტანისამოსით გამოწყობილი), „ტამბოლა" (ძვირფასი ნივთებით). სხვა და სხვა გასართობი: პტიშვო, მაშხალებით სიარული, იაპონური პტიშვო, ამერიკულ რგოლებში, კონფეტები, ნახატი, კიოსკები, ფოსტა, მკითხავის კარავი, სეირნობა: აქლემებით, ცხენებით და სახედრებით, კლოუნები და სხვა. „ჩიქა ჩაი" ესტარდაზე, ცეკვა (სხვა და სხვა ეროვნებათა).

დივერტისმენტი **სხვა და სხვა პროგრამით.**

დასაწყისი 4 საათზე. სეირნობის გამგე **კნეინა ან. ნიკ. ბექთაბეგიშვილისა.**

მოდის მაღაზია

მ. ბაშარულისა

სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

მხოლოდ ევროპიული

(—83—)

კვირას, 22 მაისს, ქართულ კულტ. მოყვარ. საზოგადოების თაოსნობით პატივსაცემლად განმეორდება

შიო მღვიმელის

საბავშვო დილა

იმავე პროგრამით, როგორითაც გაიმართა 14 თებერვალს სახაზინო თეატრში

ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში.

(100) **ფასები ჩვეულებრივია.**

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურობას

მობრძანდნენ

29 მაისს, შუადღის 12 **საათზე თავად-აზნაურთა სახლში** (სასახლის ქუჩა, „ახალ კლუბის" საზამთრო სადგომში)

საგანგებო საგუბერნიო კრებაზე

კრების საგანი:

1) ანგარიში თავად-აზნაურობის თანხებისა 1915 წ.
2) თავად-აზნ. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1916 წ.
3) მოხსენება თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ურთიერთ დამხმარე კასის დაარსების თაობაზე.
4) მოხსენება თავად-აზნაურთა არჩევნებისათვის ცენზის შემცირების შესახებ წარმოდგენილ შუამდგომლობის გამო.
5) არჩევნები თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, მდივნისა და ორი წევრის არჩევა სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის განყოფილებისათვის. 2—99—1

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოკის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—)

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

„მელაანი"

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები (112—წ.)

სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.

წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—4)

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში

ექიმი

დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

✦ **პროვიზორის ახვლედიანისა** ✦

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღის ქუჩა, № 22.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა. ტელეფონი, 17—21.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

✦ **იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი** ✦

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და

ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. 17 **მაისი. ოფიციალი.**

დასავლეთი ასპარეზი. 16 მაისს ღამით, მტერი შეეცადა ავგუსტინპოფის ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ წამოწევას, მაგრამ მალე დავაბრუნეთ. მოპირდაპირეთა მფრინავებმა ველეიკის სადგურზე რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს. გალიციაში, მდ. გლიადკის მიდამოებში მტერმა ჩვენს თხრილებთან საშინელი ცეცხლი გააჩაღა და თან იერიშით წამოვიდა. მან მალე განდევნა ჩვენი ყარაულები და ორი დაუთავებელი გალერეია ააფეთქა, მაგრამ მაშველმა მოგვისწრო და ავსტრიელები ისევ გავაბრუნეთ. ზალენის ჩრდილო-დასავლეთით, ბურაჩის ჩრდილოეთით ავსტრიელთა ძლიერი ჯგუფი წამოწევას შეეცადა, მაგრამ ვერ შესძლო.

კავკასიის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.

—

პარიზი, 16 მაისი. ოფიციალი მოხსენება. მაასის მარცხენა ნაპირზე ღამით საარტილერიო სროლა იყო. გუშინ, საღამოს 7 საათზე გერმანელებმა კორბოს ტყიდან გამოილაშქრეს, მაგრამ ჩვენის ცეცხლით შეჩერებულ იქმნენ. მეორეხელ განიმეორეს იერიში, მაგრამ ესეც შეჩერებულ იქმნა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ღამემ შედარებით წყნარად ჩაიარა, გარდა ფორტ ვოს რაიონისა, სადაც ჩვენმა და მტრის

არტილერიამ საკმაოდ ძლიერი მოქმედება გამოიჩინა. ლოთარინგიაში მტრის ძლიერი რაზმი გავფანტეთ. მფრინავთა მოქმედება: მთელი დღის განმავლობაში 15 ჯერ მოხდა ჰაერში ბრძოლა. გერმანელთა ორი აპარატი ცეცხლმოდებული ჩამოვარდა ბერიო ბოკის ჩრდილოეთით. ერთს ჩვენს მფრინავზე იერიში მოიტანა მათმა „ფოკერმა“, ათასჯერ მეტი პატრონა ესროლა, მაგრამ მფრინავმა მაინც უვნებლად მოახერხა დაბრუნება, თუმცა მისი აპარატი საგრძნობლად დაზიანებულიყო. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელთა ორი ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ, ერთი ავოკურის ტყის ჩრდილოეთით დაეცა, ხოლო მეორე ფორჟის მახლობლად.

პარიზი, 17 მაისი. დღისით მოსული ოფიციალი უწყება. მაასის მარცხენა ნაპირზე გუშინ შეღამებისას საარტილერიო სროლა გაორკეცებულის ძალით განახლებულ იქმნა, განსაკუთრებით მორტჰომისა და კიუმიერის შუა. მალე ერთსა და იმავე დროს გერმანელები იერიშით წამოვიდნენ. ამ იერიშის დროს მონაწილეობას იღებდა ახლად მოსული დივიზია. ფრანგთა მარცხენა ფრთაზე მორტჰომის აღმოსავლეთით იერიში მოგერებულ იქმნა. უფრო იქით, აღმოსავლეთით, კორრეტის ტყის მიმართულებით, უშედეგო იერიშების შემდეგ, გერმანელთ დიდი ზარალი მოუვიდათ. ფრანგებმა ბეტანკურ-კიუმიერის სამხრეთით დაიხიეს. მარჯვენა ფრთაზე, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა ძალები შემოიკრიბეს, ვერ მოახერხეს ფრანგების გაძევება მთელი ღამის განმავლობაში. მაასის მარჯვენა ნაპირზე დიდი ბრძოლა მოხდა დუომონის ფორტის დასავლეთ რაიონში. დანარჩენ ფრონტზე ღამემ შედარებით წყნარად ჩაიარა.

ლონდონი, 16 მაისი. ინგლისის ცნობა. ლაბასეს არხის და არასის შუა, მტრის არტილერია მხნედ მოქმედობდა. ლოოსთან საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ქალაქს, არრასის და ნევილ-სენ-ვაასტის მიდამოებთან საშინელი ცეცხლი გააჩაღეს. ლოოსის მიდამოებში მოპირდაპირემ ნაღმები ააფეთქა. ზილებეკე ჰოსეს და ელვერდოგგას ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლაა. ჰოსეს ჩრდილოეთით, ჩვენმა არტილერიამ ტყვიისმფრქვეველების პლათფორმა გაუნადგურა მტერს. დღე-ღამის განმავლობაში, ქვეითი ჯარს არავითარი მოქმედება არ გამოუჩენია, გერმანელთა მფრინავებიც იშვიათად ჩნდებოდნენ.

რომი, 17 მაისი. ლაგარინის ველებში, ადიჯეს და ვალარსის შუა, 15 მაისს მტერი უსასტიკესი იერიშებით წამოვიდა, მაგრამ ჩვენმა 37 დივიზიამ უკუ აქცია. პოზინო-ასტიკოს უბნებში გუშინ საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა. მოპირდაპირემ იერიშები მოიტანა პოზინოს წყაროს სამხრეთით, მაგრამ დიდად დაზარალებული უკუიქცა. ასიაგოს მაღლობებზე მოპირდაპირეთა თხრილები ჩავიგდეთ. აქ, 141 პოლკის მეომრებმა და კოსტანცაროს ბრიგადამ გამოიხსნა ორი ბატარეა, რომელსაც მტერი ყოველ მხრივ შემოჰხვეოდა. სუგანოს ველებში მცირე შეტაკებაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა, რომელმაც პლავის და მონფალკონეს მიდამოებში დაჟინებითი ხასიათი მიიღო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რიგასთან

რიგასთან, დასავლეთ დვინის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. ამავე დროს გერმანელები სასტიკი იერიშებით მოიწევენ დვინისკენ და ალარავითარ ზარალს არ ერიდებიან. განსაკუთრებითი ხასიათის მოქმედება დვინის მარცხენა ნაპირზე გამოიჩინეს იქსკიულის და სუხაია დვინის მიდამოებში—ქალაქიდან 8 ვერსის დაშორებით. კეკაუ—იქსკულის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა მთელი საშინელებით გაცხოველდა. ზემო მხარეს, იაკობ-შტატამდე, სრული სიწყნარეა.

ზავის შესახებ

„Berlingstke Tidende“ იტყობინება: ესპანიის მეფე და პრეზიდენტი ვილსონი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ ზავის ჩამოსაგდებად.

გერმანეთის ფლოტი

„ტაიმსის“ სიტყვით მოსალოდნელი არაა, რომ გერმანეთის ფლოტმა ფინის და ბოტანის სრუტეში იმოქმედონ. ჯერჯერობით ეს შეუძლებელია. ადვილი მოსალოდნელია, რომ გერმანეთის ფლოტი უფრო ინგლისისკენ იზამს პირს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გააჩაღებს. იგი ნეიტრალის წყლებით ისარგებლებს ჩრდილოთ ზღვაში და ჯარებს ნიუპორტში გადმოსხავს.

ზაგროსზე

„რუსკოე სლოვო“ ამბობს: ზაგროსის ხაზზე, რომელიც მესოპოტამიის გზებს იცავენ,—თურქები დიდ წინააღმდეგობას უწევენ რუსებს... ოსმალეთის ჯარი კარგად არის შეიარაღებული და საკმაო არტილერიით მხნედ იცავს ბაღდადისკენ მიმავალ გზებს.

იტალიის ასპარეზი.

როგორც „ბირჟ. ვედ.“-ს ატყობინებენ: სალიუბიის და ბარგის შუა (ტრიენტის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ბრენტოს მარჯვენა ნაპირებზე) ავსტრიელებმა საკმაოდ წინ წაიწიეს. იტალიელებმა კამპოდნტის სიმაგრეც დასცალეს და ვალდასის ჩრდილოეთით აზიაფო-არსიერის გზებზე გამაგრდნენ. ბოლო ხანებში საარტილერიო ბრძოლა დობერდოს სიმაღლეზედაც გაძლიერდა. 11 მაისს, ავსტრია-იტალიის ომს წლის თავი შეუსრულდა და ეს დღე ავსტრიელებმა განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნეს. ამავე დღეს, ავსტრიელ-უნგრელთა ჯარის მთავარსარდალმა ფრიდრიხმა შემდეგი სიტყვებით მიჰმართა ლაშქარს;—არ დაგავიწყდეთ იტალიის დანაშაული, და ჩვენმიერ განწირული მსხვერპლი. მოიკრიბეთ ძალა მამულისთვის და საზღვრებიც გავანთავისუფლოთ მტრისაგან!...“

ოსმალეთის ძალა.

როგორც მკითხველებმა იციან, მესოპოტამიაში რუს-ინგლისელები შეერთდნენ და ოსმალებმა სულ ახალი გეგმით უნდა იმოქმედონ. ამ შემთხვევაში, საგულისხმოა ბ. კლერჟეს წერილი, რომელიც ოსმალთა ჯარის განაწილებას შეეხება:

„დარდანელთან მოქმედების შემდეგ, როგორც ინგლისის ცნობებით ჩანს, ოსმალებმა 1, 2, 3, 4 და 5 არმია (რიცხვით 350 ათასი კაცი) ადრიანოპოლ-სტამბოლ-სმირნის შუა დააბანაკეს. ამავე დროს კავკასიის ასპარეზზე მოქმედობდა მხოლოდ მე-3-ე არმია, რომელიც, თუ ქურთების ცხენოსნებს არ ჩავაგდებთ, რიცხვი 130,000 კაცისგან შესდგებოდა.

აზრუმის დაცემის შემდეგ, კავკასიის ასპარეზზე გალიპოლიდან გადმოსხეს 150 ათასი კაცი, რომელთაგან ორი დივიზია უკვე მონაწილეობდა ტრაპიზონის ომებში. ტრაპიზონის დაცემის შემდეგ, გალიპოლისის არმიის ნაწილები ისევ გადმოსხეს კავკასიის ასპარეზზე და დღეს ოსმალეთის ჯარის რაოდენობა ასე განისაზღვრება:

ა) ზღვის ნაპირზე სდგას აჰნი-ფაშას არმია 60 ათას ჯარისაგან (3 დივიზია) შემდგარი.

ბ) ჰორობის ველებში და ბაიბურთის მიმართულებით ჰალილ-ბეი 40 ათასი კაცით.

გ) ხარფუტ-ერძინჯანის მიმართულებით 10 დივიზია, საზოგადო რიცხვით 200 ათასი კაცი.

დ) მუშის მიდამოებში 10—15 ათასი.

ე) ბითლისისაში—25 ათასი.

ვ) და მესოპოტამიაში მოსულ-ბაღდადის შუა,—60 ათასი კაცი.

სულ 400 ათასი კაცი. გარდა ამისა ოსმალთ კიდევ ჰყავთ 60 ათასი კაცი სირიაში, სუეცის ასპარეზის წინააღმდეგ და ერთი კორპუსი, რომელიც იემენთან მოქმედებს ადენის წინააღმდეგ, ვიგულისხმოთ კიდევ ის მცირე რაზმები, რომელნიც გაბნეული არიან მცირე აზიაში. საზოგადოდ, გალიპოლის და კავკასიის 1, 2, 3, 4, 5 არმიის რაოდენობა შეადგენს: 480 ათას კაცს. ამათგან, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ კავკასიის ასპარეზზე 400 ათასი კაცი მოქმედობს და უნდა ვსთქვათ რომ ოსმალებს კიდევ 80 ათასი კაცზე მეტი ჰყავთ, რომელსაც პირველ საჭიროებაში გამოიყვანენ რუსთა საწინააღმდეგოდ.

ჯერჯერობით ეს ძალა ადრიანოპოლ-სტამბოლ-სმირნის მიდამოებშია განაწილებული, ან უკვე წამოსულია აღმოსავლეთისაკენ.

ბრძოლის ველზე

დღითი დღე მძვინვარდება ბრძოლა ვერდენის გარშემო. ამ ოპერაციის გრანდიოზულ მნიშვნელობას მხოლოდ ეხლა შეეხნენ რუსის სამხედრო მიმომხილველნი. სხვათა შორის ბ-ნ შუმსკი, ვისთვისაც ეს ოპერაცია მხოლოდ სულელურ განწირულებას წარმოადგენდა თებერვლის პირველ რიცხვებში, დღეს „სისულელეს“ შორდება და მის სიდიადეს მხოლოდ ეხლა აღიარებს, როდესაც გერმანელებმა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი პოზიციები ჩანთქეს და დაიუფლეს. გერმანელთა ჯარების განაწილება დასავლეთ ფრონტზე ეხლა გენიოსურ მოსაზრებად ითვლება. „რკინის ბრჭყალებში“ მომოჭვა ფრანგთა ჯარებისა და არა თვით ციხის ყუმბ-ალება,—აი გერმანელთა იდეალები. ბ-ნი შუმსკი უფრო შორსაც მიდის. მისი აზრით თუ კი ვერდენი განადგურებული იქნება, ფრანგთა ჯარები „ტომარაში“ მოექცევიან, როგორც ეს მოიმოქმედეს გერმანელებმა რუსების ჯარების წინააღმდეგ იმ განსხვავებით, რომ თუ აქ „ტომრის სათავედ ითვლებოდა ვარშავა, აქ პარიზი არისო“. საიდან აწვდის გერმანეთი ამ რკინის ბრჭყალებს? ჩრდილოეთიდან და ვერდენის მხრით. თუ კი ეს ასე მოახერხეს, შუმსკის აზრით, დასავლეთ ფრონტს უნდა გამოვეთხოვოთ. ან, ამიტომაა, რომ გენერალ პეტენის საციხოვნო ჯარი ასეთ თავგანწირულებით იბრძვის. ამიტომვეა რომ გენერალისიმუსი ჟოფრი მთელს თავის ძალღონეს აქ აშველებს, რომ გერმანელებს გამარჯვება მაინც გაუნახევროს.

ასეა თუ ისეა, ვერდენის ოპერაცია ეს ისეთი ოპერაციაა, რომლის მსგავსი ჯერ არა ყოფილა-რა. გალიციის ეპოპეა, რუსეთის ჩრდილოეთის ფრონტის გარღვევა, ლოძ-ვარშავის „ტომრები“ თუ ბალკანეთისა და დარდანელის ოპერაცია ამასთან შედარებით მხოლოდ ჩრდილია და მეტი არაფერი. ყოველ გრანდიოზული დიდს მსხვერპლს მოითხოვს. რკინის ვეშაპნი ამ შემთხვევაში თავის ძალას იჩენენ და ფრანგთა სიმაგრეებს ნელისა და მძიმე ნაბიჯის სვლით ნთქვენ. მორტჰომი და კიუმიერის სექტორი, სადაც აურებელი მსხვერპლი გაიწირა, უკვე ფაქტიურად გერმანელთა მიერ დაუფლებული. ფრანგები ნელ-ნელ, მაგრამ მამაცურ ბრძოლით, ქედს იხრიან აუცილებლობის წინაშე და ზედმეტ მსხვერპლის განწირვისთვის ცოცხალ ძალებს პირიდან აცლიან ცეცხლმფრქვეველ რკინის ვეშაპს. ამ ჟამად, როგორც დღევანდელ ცნობებიდან დაინახავთ, წარმატება კვლავ მტრის მხარესაა. საგრძნობელია ასეთი ამბავი, მაგრამ რა ვუყოთ, თუ თვით რუსეთში გამოჩნდნენ მიგულინისთანა, შესაძლებელია, პესიმისტნი, მაგრამ მაინც და მაინც გულწრფელი ადამიანები, რომელთაც აღარა სჯერათ მომავლისა და თვით ზარალიც გერმანელებისა გაზვიადებულად მიაჩნიათ. მიგულინის წერილი საგულისხმიეროა. მას ბევრი, ძალიან ბევრი თანამოაზრე ჰყავს.

X.

თბილისი, 19 მაისი

საქალაქო რეფორმების გამო.

სახელმწიფო სათათბიროს საქალაქო თვითმართველობის კომისია მალე დაამთავრებს ახალ საქალაქო დებულებას, რომელმაც უნდა შესცვალოს აწ არსებული 1892 წლის საქალაქო დებულება და ქალაქთა თვითმართველობების ცხოვრებაში მეტი უფლებრივი წესიერება შეიტანოს. თუ კი მისიისაგან შემუშავებული პროექტი საკანონმდებლო დაწესებულებათა დასტურს ეღირსა და საბოლოოდ დაკანონდა, ცხადია, საქართველოს ქალაქების ცხოვრებაც ამ ახალ საფუძველზედ აეგება. საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამდენად შეიცვლება, ამ ახალ პროექტის მიხედვით, ქართველთა მონაწილეობა და გავლენა საქართველოს იმ ქალაქებში, სადაც დღეს უცხო ელემენტებია გამეფებული.

თუ ქალაქის საარჩევნო რეფორმაში მიღებული იქმნა ქონებრივი კურიის პრინციპი, რომელსაც საქალაქო კომისიის ერთი ნაწილი იცავს, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში სრული ბატონობა მდიდარ უცხო ელემენტის ხელში გადავა. ამ პრინციპის მიხედვით ყველა ამომრჩეველი სამ ხარისხად განიყოფება. პირველ ხარისხში მოჰყვება ყველა, ვინც სათითაოდ უმაღლეს საქალაქო გადასახადს იხდის, ხოლო საერთოდ ერთ მესამედს იმისას, რაც ქალაქს გადასახადის ფული შემოუდის ყველა ამომრჩევლისაგან. მეორე ხარისხში მოჰყვებიან ის ამომრჩევლები, რომელნიც უფრო ნაკლებ განსაზღვრულს გადასახადს იხდიან; მესამე ხარისხის ამომრჩევლებს ყველა დანარჩენები შეადგენენ. თითეული ხარისხის ამომრჩეველთა კურიას ხმოსანთა მთელი რიცხვის ერთი მესამედი ენიჭება. ასე რომ მაგ. ათას უფრო მდიდარ მოქალაქეს, ვინც პირველ ხარისხის გადასახადს იხდის, იმდენივე საარჩევნო უფლება ეძლევა, რამდენიც მრავალ ერთ ათას მოქალაქეს. ეს პროექტი უპირატესობას და ბატონობას ანიჭებს მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებს. კერძოდ საქართველოში იგი სომხის პლუტოკრატიის გაბატონებას დააკანონებს, რაიც სომხის ეროვნული პოლიტიკის და ინტერესის განმტკიცებას ხელს შეუწყობს.

დაახლოებით ასეთი იყო რუსეთის 1870 წლის საქალაქო დებულება, რომელიც შემდეგში უარყოფილ იქმნა. ეხლა ამგვარი დებულების შემოღება ნამდვილი რეტროგრადული სულისკვეთების გამარჯვება იქნება. მეორე მიმდინარეობა, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს საქალაქო კომისიაში მეფობს, აშკარად ეწინააღმდეგება ქონებრივ კურიების პრინციპს. იგი მოითხოვს, რომ ყოველ ამომრჩეველს, მიუხედავად მისი ცენზის რაოდენობისა, არჩევნებში ერთნაირი უფლება ჰქონდეს. ამას გარდა ეს მეორე მიმდინარეობა საარჩევნო უფლებას ანიჭებს ქალებს, წვრილ სახლის პატრონებს და წვრილ ვაჭრებს, რომელნიც საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან 1892 წლის დებულებით. ამ მეორე მიმდინარეობის პროექტით საარჩევნო უფლება ეძლევათ მდგმურებსაც, რომელნიც ბინის გადასახადს იხდიან.

მაგრამ საარჩევნო უფლების გარეშე რჩება ყველა მდგმური, რომელნიც ბინის გადასახადს არ იხდიან. თუმც ამნაირად ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი საარჩევნო უფლების გარეშე რჩება, მაგრამ შედარებით აწინდელ დებულებასთან, ამ პროექტის გამარჯვება მეტ სამართლიანობას შეიტანს ქალაქის თვითმართველობის ცხოვრებაში.

ვოსტორგოვის კანდიდატურა

„პეტ. ვედ.“ მოთავსებულია **ნ. დურნოვოს** საგულისხმო წერილი, რომელიც სავსებით მოგვყავს:

მამა ი. ვოსტორგოვი წარდგენილია ეპისკოპოსად დიმიტროველ კათედრაზე. ობერ-პროკურორის ვოლჟინის მიერ. ჯერ ისევ კანდიდატურა არ არის მოხსნილი. ვოსტორგოვისთვის განსაკუთრებით ზრუნავს მისი მეგობარი ტვერის მთავარ-ეპისკოპოსი სერაფიმ ჩიჩაგოვი.

ბ. ობერ-პროკურორი გაზეთებში მოთავსებულ არასასიამოვნო ამბებს არ უჯერის, რომელნიც ვოსტორგოვზე იწერებოდა. მაგრამ ამის თაობაზე შეიძლებოდა ჩვენება ჩამოგერთმიათ მთავარ-ეპისკოპოს ნიკონისთვის (იოანე კრონშტატელის სახელით ყალბ დეპეშის შესახებ) ეპისკოპოსებისთვის, კირიონისთვის, ლეონიდისთვის, და ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისთვის ვოსტორგოვის ყოფაქცევის შესახებ საქართველოში ყოფნის დროს, თუ რა იყო მიზეზი, რომ თბილისის საქალებო გიმნაზიიდან დაითხოვეს, სადაც ის სამღვთო რჯულს ასწავლიდა, ეკითხათ განჯაში დატრიალებულ უბედურობის შესახებ, სადაც 12 ნაწილად აკეპილ იქმნა გიმნაზიის მდივნის მეუღლე; შეიძლებოდა დაჰკითხებოდნენ „რუსის ხმის“ რედაქტორ ბალაშევს, რომლისაგანაც გაიგებდნენ ვოსტორგოვის რჯულის მასხარად აგდებას, ბოროტ საქმეთა ჩადენას და მოსკოვის სტამბის მისაკუთრებას.

ვოსტორგოვს იცნობს „რუსკ. ზნ.“ რედაქტორი ა. ი. დუბროვინი. უეჭველია, იგი უარს არ ეტყვის ბ. ობერ-პროკურორს ჯეროვანი ჩვენება მისცეს მამა ი. ვოსტორგოვის ყოფაქცევის შესახებ.

დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

ავგუსტინჰოფის ჩრდილო-აღმოსავლეთით საშინელი ბრძოლაა.

—

ზალენის ჩრდილო-დასავლეთით, ავსტრიელები უსასტიკესი იერიშებით წამოვიდნენ.

—

კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

—

ლა-ბასეს და არასის შუა არტილერია მხნედ მოქმედებდა.

—

ავოკურიდან კიუმერამდე გერმანელები მედგრად ამოქმედებდნენ არტილერიას.

—

მაასის მარჯვენა ნაპირზე, დუომონის დასავლეთით, სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა.

—

ბელგიის ასპარეზზე არტელერია მხოლოდ ჩრდილო და შუაგულ ნაწილში მოქმედობს.

—

ადიჯეს და ვალარსის შუა ავსტრიელებს მედგარი იერიშები მიაქვთ.

სომეხთა ყრილობა პეტროგრადში

(საკუთარის კორესპოდენტისაგან)

პეტროგრადის სომხების ახალშენში გუშინვე დიდი მოძრაობა დაიწყო. ყოველი კუთხიდან დაიწყეს დენა სომხების წარმომადგენლებმა. ყველანი დღევანდელ კრებას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ და ყოველ სომხის ოჯახს და საზოგადოებას დიდი აღელვება ემჩნეოდა.

საიდან არ ჩამოსულან გაბნეული სომხები: ციმბირიდან, მოსკოვიდან, როსტოვიდან, ეჩმიაძინიდან, ბრძოლის ველიდან და ერთათ შეკრებილთ მრავალი ხნის უნახავთ, მრავალი საზიარო აქვთ თვისი უბედურებიდან და ერთმანეთს უზიარებენ თავის ერის ჭირსა და ვარამს, საღამოს ყველა ჩამოსულებმა აქაურებთან ერთად თავი მოიყარეს, რომ დღევანდელი დღის (10 მაისის) წესრიგი შეემუშავებინათ, ერთმანეთი გაეცნოთ და პრეზიდიუმი ამოერჩიათ. კრების დროც დადგა.

რკინის გზის ინჟინერთა დარბაზი სომხებით არის გაჭედილი. მოუთმენლად ელიან დიდი ხნის სანატრელ საათს, როდესაც სომხების პირველი ყრილობა უნდა გაიხსნას და საშუალება მიეცეს სთქვან, რაც ამდენი ხანი საუბაროდ ერთმანეთისათვის ვერ უთქვამთ.

კრებაც დაიწყო. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ფ. ტიგრანოვი** სალამის სიტყვით მიმართავს ყველა იმ პირთ, ვინც პატივისცა საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევას და კრებაზედ მობრძანდა. (თუმც აღსანიშნავია, რომ მრავალ მოწვეულთაგან კრებაზედ მხოლოდ ერთი აკად. ნ. მარი მოვიდა).

ტიგრანოვი სალამს უძღვნის ჩამოსულ დელეგატებს: თქვენ მოგწყვიტეს თქვენს ადგილებს, მოგაშორეს ამ წმინდა მოვალეობას, რომელსაც თქვენ ეწევით გადმოხვეწილთა დახმარების საქმეში.

ძნელი იყო თქვენთვის დატოვება ამ საქმისა, მაგრამ ჩამოსვლის დიდმა მნიშვნელობამ გაიძულათ და ამიტომ ნაყოფიერად უნდა იმუშავოთ აქ, რომ შეთანხმებით შეიმუშავოთ გადმოხვეწილთა დახმარების საერთო გეგმა და მით გააუმჯობესოთ მდგომარეობა ტანჯულ ხალხისა. ძნელია ამ საქმის მოწყობა, აუტანელია მთელი სომხეთის ტანჯვა, მაგრამ საერთო მუშაობით და ძლევამოსილ რუსეთის დახმარებით მივაღწევთ ჩვენს სურვილს.

ბ-ნ ტიგრანოვის სიტყვის შემდეგ კრებამ, ერთხმათ ამოირჩია საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დასახელებული პრეზიდიუმი.

თავმჯდომარეთ აირჩიეს მოსკოვის სომხეთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ნაფ. ვექ. სტ. ივ. მამიკონიანი, თავმჯდ. ამხანაგებად: გრ. ჩალხუშიანი, პროფ. ვარტანოვი და ა. ბ. ასრიბეკოვი.

ბ-ნმა **მამიკონიანმა** არჩევნების შემდეგ შემდეგი სიტყვით მიმართა კრებას;

მე რომ მარტო დღევანდელი კრების პროგრამით დავკმაყოფილდე ძლიერ ცოტა იქნება, რადგან თქვენ უფრო ახლოს სდგეხართ საქმესთან და პირდაპირი დამოკიდებულება გაქვთ იმ უბედურ ხალხთან, და მე კი, შორს მყოფი, ვერაფერს ახალს ვერ შევიტან საქმეში. გადმოხვეწილნი და მათი ტანჯვა-წვალება ეს მხოლოდ ფაქტებია, რომელნიც უსაზღვრო თანაგრძნობას და სიბრალულს იწვევს ჩვენში დაზარალებულთა დასახმარებლად; მაგრამ საიდგან წარმოსდგება ეს საკითხი, რამ გამოიწვია ეს დარბევა და ტანჯვა-წვალება? იგი წარმოსდგება მთელ სომხების ისტორიიდგან და მჭიდროთ არის დაკავშირებული, ეგრედ წოდებულ, სომხების საკითხთან.

სომხების საკითხი ეს ძველ ქრისტიან ერის თურქების მბრძანებლობისაგან განთავისუფლების საკითხია.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც კავკასიაში მყოფმა სომხებმა მიმართეს პეტრე დიდს და მანაც თავის ბრძანებაში 1724 წ. ინება მზრუნველობა პატრონობა სომხებისა. აქედან მომდინარეობს „სომხების საკითხი“. ეს მიმართვა უბრალო შემთხვევა როდი იყო. სომხის ერი ისწრაფოდა მოძმე რუს ქრისტიან ერისაკენ. სუყოველი მხრიდან ეწეოდნენ სომხებს, მაგრამ მათი გული მხოლოდ რუსებისკენ მიისწრაფოდა და სპარსეთის პრინცის ალი მირზას რჩევაზე, რომ თავი დაენებებიათ რუსეთისთვის, სომხებმა უშიშრად უპასუხეს: „ჩვენ გვირჩევნია რუსის შავი პური, თქვენს ტკბილეულობას“.

და აი მთელი 800 წელია, რაც ერი თან და თან თავს აღწევს მძიმე უღელს.

[illegible] გმირებსაც იძლევა — [illegible] ჩვენს წინ, სდგებიან მადათოვი, ბებუთოვი, არგუთინსკი.

დრო მიდის და ხალხის გულიდან გამოდიან ძვირფასი თავდადებული გმირები: ვის არ ახსოვს უბრალო მკერვალის შვილი ივ. გრ. ლაზარევი, რომლის შემწეობით დღეს ყარსი რუსეთის ხელშია.

ვინ არ ყოფილა თბილისში და ვანქის ტაძარში არ უნახავს ყოველი სომხის გულისათვის ძვირფასი აკლდამა.

რუსეთისა და სომხების დამოკიდებულება თან და თან ძლიერდებოდა და ბოლოს ისეთი სახეც მიიღო, რომ სან-სტეფანის ხელშეკრულების მე-16 მუხლში გარკვეული იყო ის პირობები, რომელთა ძალით თავისუფალი სომხეთი უნდა ამდგარიყო, მაგრამ უცხოეთის სახელმწიფოთა ჩარევით. ეს მუხლი შემდეგ ისე დასახიჩრდა, რომ შიგ ჩვენდა სასარგებლო ცოტა რამ დარჩა.

ასეთი ხელშეკრულების შემდეგ დაიწყო ჩვენი დევნა სათათრეთში.

ომის დაწყების წინეთ კი თათრებმა და გერმანელებმა წინადადება მოგვცეს კავკასიაში ამბოხება მოგვეწყო, მაგრამ სომხის ერს არასოდეს ღალატი არ სცოდნია და ასეთ ბინძურ საქმეს რასაკვირველია არ იკადრებდა. ერის საუკეთესო გრძნობები რუსეთისაკენ იყო მიმართული და მეგობრობა 200 წლის განმავლობაში მტკიცდება. დაიწყო ომი და იფეთქა ერის გრძნობამაც, რის შედეგიც იყო ის აურაცხელი მოხალისენი, რომელნიც დღეს ყველა ასპარეზზე ომობენ რუსეთისთვის და თავდადებული სომხების მოხალისეთა რაზმი, რომელმაც აურაცხელი სარგებლობა მოუტანა კავკასიაში მომქმედ ჯარს.

ასეთი თავდადების და ალტაცების მაგალითი, თამამად შემიძლიან ვთქვა, სხვა ერს არ გამოუჩენია. აქედან წარმოდგება ის საშინელი მხეცური წვალება, რომელსაც თათრები სჩადიან. სათათრეთში მყოფი სომხები სრულიად ლოიალათ იყვნენ, მაგრამ არ შეიძლებოდა არ ეგრძნოთ, რომ თუმც მათ არა ვღალატობდით, მაგრამ ჩვენი გული რუსეთისაკენ იყო. ყველაფერმა იმ შედეგამდე მიგვიყვანა, რომ 600,000 სომეხი ამოჟლიტეს და ვინ იცის რამდენი მესოპოტამიაში და კილიკიაში მათი ქონება სრულიად დაანიავეს. რა გზას უნდა დავადგეთ ახლა? უპირველეს ყოვლისა სულით არ უნდა დავეცეთ და ნათლათ ვუცქიროთ მომავალს თვალში,

მომავალი უთუოთ ჩვენია.

ხუთი საუკუნის წამებაში ნაწრთობი ჩვენი სული იწმინდება და როგორც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, გვიქადის აღდგომა.

დგება ის დრო, რომელსაც ამდენი ხანი ველოდით და მხოლოთ ძლევამოსილი რუსეთის შემწეობით.

რუსის პოეტმა სთქვა:

„Умомъ Росію не обнять
въ Россію можно вѣрить“.

და ჩვენ გვრწამს რომ ჩვენი ფეხზე დაყენება შეიძლება მხოლოდ რუსეთის ხელით.

მამიკონიანის სიტყვას კრება აღტაცებით მიეგება.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ პრეზიდიუმს მიანდო ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე მისალმების დეპეშის გაგზავნა, რადგანაც „სადაც არ უნდა შეიკრიბონ სომხები, პირველი ფიქრი მათი მისკენ იყო მიქცეული“,

კრებას არ შეუძლია დაივიწყოს სამშობლო კავკასია“ და დადგენილ იქმნა დეპეშა გეგზავნოს მის იმპ. უმაღლესობას ხელმწიფის ნაცვალს ნიკ. ნიკ. „სომხეთის დედა ქალაქის აზრუმის დამპყრობს“. დეპეშითვე ესალმებიან და სთხოვენ ლოცვა კურთხევას სომხების კათალიკოს.

მეორე ორატორი ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი თავის ლია ბარათით პროფ. მ. კოვალევსკის მიმართ, რუსეთში ნაფ. ვექ. ქ. ჩალხუშიანი დიდხანს ჩერდება იმაზე, თუ როგორ მოუმზადებლად დაატყდათ მათ თავს ომი და ამიტომ პირველ ხანს ძნელი იყო დახმარების გაწევა. მაგრამ ეს უბედურება მისთვის დაატყდათ თავს სომხებს, რომ ისინი მოკავშირეებს თანაუგრძნობდნენ. უსაბუთოთ კი არ უძახიან მათ ფრანგები „პატარა მოკავშირე“ და „პატარა მოკავშირენი“ ძლიერ დაზარალდნენ. ომმა გაიტაცა ისინი ერთიანათ და დაავიწყდათ სხვა საჭიროებანი. ომი მათ არ უნდოდათ, მისთვის რომ წინდაწინვე ეშინოდათ დარბევისა. მაგრამ რუსეთი მათს მხარეზე იყო. მან კარგათ იცოდა. რომ სომხები სულით და გულით მისკენ მიისწრაფოდნენ; ამაში იგი არა ერთხელ

დარწმუნებულა ჯერ კიდევ სპარსეთის და სათათრეთის ომის დროს, როდესაც სომხები, სამღვდელოებითა და პურმარილით ეგებებოდნენ რუსეთის ჯარს.

ჯერ კიდევ, როდესაც ომი მხოლოდ დასავლეთის ასპარეზზე იყო, ჩვენ ყველა ლაზარეთებში მხურვალე მონაწილეობას ვიღებდით და ჩვენსას ვაარსებდით და რუსი ჯარისკაცებიც კი რჩეულობდნენ ჩვენთან ყოფნას, ისე კარგათ ვექცეოდით მათ. ჩვენ სავსებით რუსების მხარეზე ვიყავით და მთელს ჩვენს ძალ-ღონეს მსხვერპლად ვწირავდით მას.

დაიწყო ოსმალეთის მთავრობის თათბირი სტამბოლში, ბითლისში, აზრუმში. ისინი ამბობდნენ: **„კავკასიის ერები ჩვენსკენ უფრო მიისწრაფვიან, მაგრამ ინიციატივას მოკლებულნი არიან და ამიტომ სომხები უნდა დავითანხმოთ, რადგან ერთად-ერთი ინიციატივის ხალხია და თუ ისინი გადმოვლენ მაშინ ქართველნიც და სხვა ერები ჩვენთან იქნებიან“**. მაგრამ ჩვენ ამ წინადადებაზე, რასაკვირველია, მკაცრი უარი უთხარით რის დარწმუნება ზედ-მეტადაც მიმაჩნია, რადგან მთელი ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ამის დამამტკიცებელია. მაგრამ აი ომი გამოცხადდა და ჩვენც მთელის სულით და გულით ჩავებით შიგ.

24 ოქტომბერს თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა სომხის საზოგადო მოღვაწემ მიიღო დიდი დეპეშა, რომელშიაც ახსნილი იყო, სომხების ტაქტიკა და საჭიროება მხურვალე თანაგრძნობისა რუსეთის ჯარისთვის. ხელს აწერდნენ: მესროპი, პაპაჯანოვი, არუთიუნოვი და ხატისოვი. რა მდგომარეობაში ჩაგვაყენა ამ ომმა კარგათ მოგეხსენებათ და ჩვენც „ვყვიროდით იარის პირით“, რომ გაეგონა ხალხს, მთავრობას და მარად გულწრფელ, **მოუსყიდველ რუსულ პრესას** (თითონ თუ დარწმუნდა!“). მაგრამ ეს ყვირილი სასოწარკვეთილებისაგან არ წარმოსდგებოდა. ჩვენ ისევ მხნეთა ვართ და მხოლოთ გვტანჯავს ჩვენი მოძმეების გაჭირვება. სომხები ზღვას დაემსგავსნენ, რომელიც წამ და უწუმ უსულო გვამებს ისვრის ნაპირზე, მაგრამ ამ ზღვის ძირში ვიპოვით სამ მარგალიტს: პირველი მარგალიტია სამართლიანობა, სომხურათ არტარუტიუნ. ამ სიტყვას რომ სომეხი იტყვის ის უსათუოდ ან ზეცაში იყურება ან მიწას დასცქერის და არას დროს კაცს პირში არ შეჰხედავს, რადგან დაკარგულია ნდობა ხალხისა. მეორე მარგალიტი უფლებაა და მესამე—თავისუფლება. მოკავშირენი ამ სამივე მარგალიტის მოგვაპოვებინებენ.

კრება შესწყდა ნახევარი საათით, რის შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს წევრმა პაპაჯანოვმა გააცნო კრებას, თუ რა მდგომარეობაშია ეხლა გადმოხვეწილთა დახმარების ფინანსიური მხარე.

ორატორის სიტყვით ყველაზე დიდ დახმარებას მის იმპ. უმ. ტატიანას კომიტეტი იძლევა და ჰპირდება მომავალშიაც დაეხმაროს და კიდევ უფრო გააფართოვოს თავის დახმარება. მინისტრთან არსებული განსაკუთრებული თათბირიც იშვიათი ყურადღებით ეპყრობა სომხებს და ჯერ არც ერთი დეპუტატის თხოვნა დაუკმაყოფილებლად არ დაუტოვებიათ. ეხლა ახალი საჭიროებანია, მალე გამოქცეულთა უკან დაბრუნება. კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ამისთვის მილიონი მანეთი გამოითხოვა დასახმარებლათ.

ნიშნათ იმისა, თუ როგორის ყურადღებით ეპყრობა მათ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, დეპუტატმა შემდეგი მაგალითი მოიყვანა: ველმინდვრების დასათესათ საჭირო იყო სწრაფი დახმარება, მაგრამ ვიდრე პეტროგრადში ამის გამოკითხვით დრო გავიდოდა და ნიკოლოზ ნიკოლოზისძემ და თ-მა ორლოვმა დეპეშით ითხოვეს ნახევარი მილიონი მან. და შემდეგ 200 ათასი მანეთი.

მთავრობა უსათუოდ დიდ დახმარებას გვიწევს და მე ვცდებოდი, როდესაც სათათბიროში გამოვსთქვი ეჭვი მათ დახმარებაზე. დახმარება უსათუოდ უდიდესია, მხოლოთ უნდა მძლავრად შევკავშირდეთ, ყველა ორგანიზაციებმა გაიკვლიონ თავისი გზა და ერთი მეორის დახმარებით უცადოთ ომის გათავებას, რომელიც უსათუოთ დიდს იმედებს გვინერგავს.

კრების დადგენილებით დეპეშა გაეგზავნა გარეშე საქმეთა მინისტრს საზონოვს. ულრმესი მადლობით სომხეთის რეფორმებისათვის შრომისათვის, ყველა მოკავშირე სახელმწიფოთა გარეშე საქმეთა მინისტრებს და ლორდმერებს.

კრება დაიხურა.

შემდეგი კრება დანიშნულია ხვალ საღამოს. სექციები დღეს საღამოს დაიწყებენ მუშაობას, მაგრამ კამათი და მოხსენებანი სომხურ ენაზე იქნება და უცხოელებს ენის უცოდინარობის გამო საშუალება ესპობათ დაესწრონ ამ მუშაობას.

საორგანიზაციო კომიტეტმა მოაწყო საინფორმაციო ბიურო და დაგვპირდა მეორე დღესვე გადმოგვცეს მთელი მასალა ამ ბიუროს საშვალებით. მაგრამ ეს მაინც ვერ დაგვაკმაყოფილებს, რადგან მთელი კრების მუშაობის ნაყოფი, ადვილათ ასახსნელ მოსაზრებისა გამო, არ შეიძლება რომ გამოქვეყნდეს და იმას რაც კერძოთ ჩვენ, ქართველებს გვაინტერესებს სრულიადაც არ გვეტყვიან.

პირველი კრება მეტათ უფერული იყო და არავინ არ დააკმაყოფილა. მთელმა მხილებამ ფუჭათ ჩაიარა, რადგან ყრილობას პროგრამა შეუკვეცეს და არც არავინ მოსულა მოპატიჟებულ სტუმრებისაგან.

არც ერთ სიტყვაში, რომელიც დღეს წარმოითქვა, ახალი არაფერი თქმულა და თითქმის ერთი მეორის განმეორება იყო. ვნახოთ რას გვეტყვის მეორე კრება?

ლ. ჯაფარიძე.

პეტროგრადი 10 მაისი.

ახალი ამბავი

✦ **მცხეთის საპატრიარქო ტაძარში** დღეს მათი უმაღლესობა დიდი მთავრინა ტატიანა კონსტანტინეს ასული საიდუმლო ზიარებას მიიღებს. მწირველია ყ-დ სამღვდელო ანტონი ეპ. გორისა—წლის წირვა განსვენებულ თ-დის კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბუხრაბ-ბატონის შაბათს 21 მაისსაა დანიშნული. მწირველია საქართველოს ეგზარხოსი პლატონი და გორის ეპ. ანტონი. საგანგებო მატარებელი მცხეთიდან თბილისისკენ დანიშნულია $2^1/_2$ საათზე.

✦ **კახეთის რკინის გზის** მსახურთა მომხმარებელ საზოგადოების წესდება უკვე დაამტკიცა თბილისის გუბერნატორმა. დღეს დილით გზის გამგეობის ბინაზე დანიშნულია პირველი საორგანიზაციო კრება ამ საზოგადოების პრეზიდიუმის ასარჩევად.

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვლის დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს სადარბაზოდ წარუდგა ყუბანის მსროლელთა რაზმის უფროსი პოლკოვნიკი ნაცვლიშვილი, რომელიც შემდეგ მიწვეულ იქმნა მეფის ნაცვლის მიერ საუზმეზე.

✦ **დიდი სეტყვა.** გუშინ საღამოს 5 ს. და 15 წ. თბილისში და მის ახლო მახლო ადგილებში ძლიერი სეტყვა მოვიდა. ერთს წუთს მთლად დაჰფარა დედამიწა. ქუჩებში დიდი ნიაღვრები მოვარდა.

✦ **შიო მღვიმელის დილა** გაიმართება კვირას, 22 მაისს, სახალხო სახლში, $12^1/_2$ საათზე. პროგრამა ძველი დარჩება—როგორც სახაზინო თეატრში იყო 14 თებერვალს, მხოლოდ მოზრდილები არ მიიღებენ მონაწილეობას, მარტო ბავშვები იქნებიან (სცენაზე). **ივ. გომართელი** წაიკითხავს ლექციას. იმღერებს კ. ჩარკვიანის ბავშვების გუნდი, დაიდგმის ცოცხალი სურათები, წაკითხულ იქნება შიოს ლექსები, დაუკრავენ სხვა და სხვა დასაკრავებზე, ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში, არავის გაეგზავნება. ფასები ჩვეულებრივია (დრამატიული წარმოდგენებისა).

✦ **კავკასიელ ქალთა საზოგადოებაში** ხუთშაბათს, 19 მაისს, კავკასიელ ქალთა საზოგადოების ბინაზე (გოგოლის ქ. № 64) გაიმართება მორიგი საღამო სომეხთა მწერლის და საზოგადო მოღვაწის მ. ნალბადიანის ხსოვნის პატივსაცემად. მ. ი. ბერბერიანი წაიკითხავს რეფერატს რუსულად მ. ნალბადიანის მოღვაწეობის შესახებ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე შესვლა უფასოა.

✦ **ეპისკოპოზი მესროპი** ასტრახანში გადაიყვანეს იმავე თანამდებობაზე; მის ადგილას დაინიშნება ეჩმიაძინის სინოდის წევრი არქიეპისკოპოზი იუსიქი.

✦ **სეირნობა.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულ კულტურის-მოყვარეთა საზოგადოება ხართუხის კლუბში თვისი საშუალების გასაძლიერებლად მართავს დიდ სეირნობას. სეირნობის გამგე კნ. ა. ნ. ბეგთაბეგიშვილისა.

✦ **იაფ-ფასიან სასადილოების** მომწყობ კოოპერატივის საორგანიზაციო კომისიას საქმე კარგად მოუგვარებია და იმედი აქვს კოოპერატივი ახლო მომავალში დაიწყებს მუშაობას. კოოპერატივში ჩაწერის მსურველთ უკვე ღებულობენ წევრებად. დღეს საღამოს, „ნაკადულის“ რედაქციაში კომისიას კრება ექნება, რომელზედაც ყველა მსურველ შეუძლიან დასწრება.

✦ **აჭარელთა დაბრუნება** მეფის ნაცვლის კანცელარია შეეკითხა ბათომის გენერალ-გუბერნატორს რი უფლებით ნებადართულ ექმნათ დაბრუნება ბათომის ოლქში ოსმალეთის ქვეშევრდომ აჭარლებს, რომელთაც ომის დაწყებისას დატოვეს თავიანთი მიწა-წყალი.

⁂

მე არა ვტირი ჩემს ობლობას, ჩემს სივაგლახეს,
ცრემლს არა ვმატებ ცრემლიანსა სამშობლოს სახეს,
მე საყვირი ვარ საქართველოს დაჭრილ გულისა,
მე მახვილი ვარ და ფარ-ხმალი დაჩაგრულისა!

როდესაც გავჩნდი, შემოქმედმა ცით დამავალა:
„—შენს მშობელ მხარეს უპატრონე ვით ძიძა-ლალა,
ხალხს შთააგონე სიყვარული, შრომის უფლება
და ყოველ ერსა უგალობე თავისუფლება!“

როცა პირველად დედამ ტკბილი ძუძუ მაწოვა,
ლოცვა-კურთხევით, სიყვარულით, ცრემლითა მთხოვა:
„—უბედურს ემე, დაჩაგრული იხსენ, ახარე,
გიყვარდეს დედა-საქართველო,—სამშობლო მხარე!“

მე ვიზრდებოდი, ვეცნობოდი წუთისოფელსა,
არ ვივიწყებდი ჩემს საყვარელ დედა-მშობელსა,
მაგრამ სამშობლოს, სამშობლოში ვერა ვხედავდი,
ვიტანჯებოდი და ტირილსაც ვერა ვბედავდი.

მიწა სხვას ჰქონდა; მე შიშითა უნდა მეარა,
სხვას ჰქონდა ბინა, სამლოცველო, ოღონდ მე არა,
და თუ ხანდახან ამ ყოფნაზე ვძრავდი ენასა—
კლიტეს ადებდნენ ჩემს კილოს და აღმაფრენასა.

მეუბნებოდნენ:„—მზეს ნუ უცქერ, ეს მზე ჩვენია,
ეს მიწა-წყალი, ღმერთს ჩვენთვისა გაუჩენია,
ეს ტურფა მხარე ჩვენ გვეკუთვნის ჩამომავლობით,—
შენ სტუმარი ხარ, ჩაიარე ლოცვა-გალობით!“

ვიტანჯებოდი, ვიღრღნებოდა გულში იარა,
მაგრამ განგებამ საიდუმლო გამიზიარა:
„—კაცს სამშობლო აქვს, ფრინველს ბუდე, მელასა სორო,
არვის დაუთმო, შენს ბჭეს ფეხი არ მოაშორო!“

თითქოს უეცრად გაქრა ჭმუნვა, გაქრა წუხილი:
ბრძოლას შევუდექ სულით მტკიცე, გულით ზვიადი,
არა მშორდება შემდეგ ფიქრი საქართველოზე:
სამშობლოს ვეძებ და ვეოცნებობ ტურფა მდელოზე!..

—ჰეი, მძინარნო! ბედ-მტირალნო ბრმა თვალებითა,
აღდგომის ღმერთი მოგევლინათ ქებათ-ქებითა,—
გამოიღვიძეთ! საბრძოლველად გამალეთ მკლავი
და გაიხსენეთ თქვენი მიწა, თქვენი საფლავი!

სამშობლო ჰპოვეთ, მაგრამ სხვას ნუ დაუნგრევთ ბუდეს,
სხვის სამშობლოში ნუ ეძიებთ საზღვართა ზღუდეს,
წინ წაიმძღვარეთ, ვით უკვდავი ყოფნის უფლება:
შრომა, სიმართლე, სიყვარული, თავისუფლება!

მაგრამ თუ ვინმე შენს მზეზედა შეგეცილება,—
წინ აღუდექი, დამცირება ნუ გეტკბილება!
დე, ყველა მიხვდეს, რომ სამშობლოს არვის დაუთმობ
და მოღალატეს, ბოროტ გულსა, სისხლით გაუთბობ!

მე არა ვტირი ჩემს ობლობას, ჩემს სივაგლახეს,
ცრემლს არა ვმატებ ცრემლიანსა სამშობლოს სახეს,
მე საყვირი ვარ საქართველოს დაჭრილ გულისა,
მე მახვილი ვარ და ფარ-ხმალი დაჩაგრულისა!

ნ. ჩხიკვაძე.

✦ **ტრამვაის მსახურთათვის** ქალაქი ხსნის მომხმარებელ სავაჭროს ტრამვაის პარკთან.

✦ **მორიგი კრება.** დღეს, 19 მაისს საღამოს 8 საათზე, დანიშნულია ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება. საბჭოს სხვათა შორის წინასწარი თათბირი ექნება ქალთა საშუალო სამეურნეო სასწავლებლის პროგრამის შემუშავების შესახებ.

✦ **კრების გადადება.** 17 მაისს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის მორიგი კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

✦ **უყველობა თბილისში.** 4—5 დღე იქნება, რაც ყველის გამყიდველები გაიფიცნენ თბილისში, ყველი დამალეს და აღარ აჩენენ გასასყიდად. ისეთ მაღაზიებშიდაც-კი როგორიც არის ჩიჩკინისა და შადინოვისა, ყველი არ იშოვება სასყიდლად. ამის მიზეზი ის არის, რომ უნდათ ხელოვნურად ყველის ფასი ასწიონ.

✦ **პრეზიდიუმის არჩევა.** ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ზედამხედველმა საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია კ. კანდელაკი, თავმჯდომარის ამხანაგად ვ. როხლინი და მდივნად შ. ქარუმიძე.

✦ **სავალდებულო დადგენილების დარღვევა.** ამ ერთი წლის წინად კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა გენ.-ლეიტ. ვოლსკიმ ბრძანება გასცა, რომ თბილისში ავტომობილებს ევლოთ არა უჩქარეს 10 ვერსტისა საათში. ეს სავალდებულო დადგენილება ჯერ არ გაუქმებულა, მაგრამ შესრულებით-კი არავინ ასრულებს იმას. ავტომობილები დიდის სისწრაფით დაქროლავენ ქუჩებში და ამის მსხვერპლი ძალიან ბევრია. ისეთ უყურადღებობის მსხვერპლი გახდა 17 მაისს, საღამოს 9 საათზე, ახალ-გაზდა 14—15 წლის ქალი გოლოვინის პროსპექტზე, თბილისის საკრებულოს წინ. ცოცხალ-მკვდარი ქალი საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **სასტატო ინსტიტუტში** გუშინ სწავლის დამთავრების წინ გადახდილ იქმნა პარაკლისი. სჯულის მოძღვარმა დეკ. ნ. თალაკვაძემ სწავლა დამთავრებულთ მხურვალე სიტყვით მიმართა. სწავლა დაამთავრეს წელს 27 კაცმა, მათ შორის ორმა ქართველმა, ნიკო ლუდუშაურმა და რაფიელ ლომინაძემ.

✦ **სოფლის მეურნეობის აღწერა.** სოფელთა სათეს მინდვრების და საქონლის აღსაწერად და გამოსარკვევად მათ რაოდენობისა კავკასიის მეურნეობის ინსპექტორის ბ-ნ ტიმოფეევის თავმჯდომარეობით მიწადმოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულის გამგეობასთან შესდგა განსაკუთრებული ბიურო, რომელსაც დაკისრებული აქვს წინასწარ მუშაობის დაწყება ამ საქმის გამო: ინსტრუქტორსტატისტიკების და აღმნუსხველ-გადამწერთა შტატის შედგენა. ამ მიზნით ბიურო უკვე შეუდგა ყველა ამ პირთა სიების შედგენას და მათ ცენზის და მომზადების გამორკვევას. ბიუროსთან საგანგებო კურსებიც ამ მოკლე ხანში დაიწყება. კურსებზე მოამზადებენ ინსტრუქტორ-აღმნუსხველთ. მეცადინეობა კურსებზე დაიწყება 19 მაისიდან დილის 10 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 7—10 საათამდე. კურსების მსმენელთა ჯგუფებზე დაყოფა მოხდა გუშინ ნაშუადღევის 12 საათზე. კურსებზე ჩასაწერად მსურველთ უნდა მიმართონ კოჯრის ქუჩაზე № 9.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა** 15 მაისს თბილისის საბაჟო გამგეობის შენობაში საცა საველე ჰოსპიტალია მოთავსებული ნადვორნი სოვეტნიკმა პიასეცკიმ, 40 წლისამ, საწამლავი დალია. ბ. პიასეცკი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

ლექცია ავტოკეფალიაზე. საქართ. ეგზარხოსმა ნება დართო ქრ. კაპანაძეს საქართველოს ავტოკეფალურ ეკკლესიის ისტორიის“ შესახებ ლექციის წაკითხვისა ქართულ ენაზე თბილისსა და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. პირველი ლექცია დანიშნულია 22 მაისს ახალ კლუბის დარბაზში.

✦ **ხარბინიდან გვწერენ:** მგოსანს კ. ბალმონტს იქ ლექცია წაუკითხავს ვეფხის ტყაოსნის შესახებ. ლექციას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. დამსწრე ქართველებისთვის ბალმონტს უთქვამს: სალამი უძლეველით მშვენიერ საქართველოსაო.

✦ **შაქარს და სურსათს თბილისიდან ეზიდებიან.** „პეტ. ვედ.“-ში მოთავსებულია ასეთი ცნობა: გამოირკვა, რომ თბილისიდან ფოსტით ამანათებად (300—500 ფუთობით) შაქარს ეზიდებიან სპარსეთის მომიჯნავე ადგილებისაკენ, საიდანაც თურმე სპარსეთში გააქვთ. აგრეთვე გამოირკვა, რომ ფოსტის კანტორა ყოველ დღე ღებულობს სურსათს სამ ვაგონამდე. ზოგჯერ დღეში 18 ვაგონი დასჭირებია ამ საქონლის გაგზავნას. ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი პირის სახელზე ერთბაშად მოსულა 2,700 ამანათი.

ქ. თელავი.

13 მაისს გაიფიცნენ თელავის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის მოსამსახურენი და წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილება ამხანაგობის საბჭოს:

1) პროტესტს უცხადებენ გამგეობას რემინგტონზე მბეჭდავი ქალის უსაბუთოდ დათხოვნაზე და მოითხოვენ რომ ყველა მათგანს ეს არ ეწვიოს უსაბუთოდ. გამგეობამ უნდა გააბრთხილოს ერთხელ, მეორეზედ-კი ერთი თვის წინ წინადადება მისცეს, რომ ადგილი ექნების.

2) ზრდილობიანი მოპყრობა გამგეობისა მომუშავეთა მიმართ.

3) მოისპოს გვარებით და ზარის რეკით დაძახნა.

4) გაუქმებულ იქმნას საღამოს 6—12 საათამდე მეტი მუშაობა.

ქვიშხეთი.

12 მაისს გასჩხრიკეს და დააპატიმრეს მიშა ყიფიანი; იგი იმავე დღეს თბილისში წაიყვანეს.

გაზ. „საქართველო“-ს კანტორისაგან

საჭიროა გაზეთის აგენტები

ყველა დაბა-სოფლებში. მსურველთ მიჰმართონ „საქართველოს“ კანტორას (თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 4. სახლი გაბაშვილისა)

სახელმწ. სათათბირო

პეტროგრადი. სათათბიროს სხდომები დაიწყო 16 მაისს ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. როძიანკოს თავმჯდომარეობით, როძიანკოს სიტყვის შემდეგ, რამდენიმე მოხსენება მოისმინეს:

აკ. ჩხენკელმა სიტყვა წარმოსთქვა რომლის გამომჟღავნება სათათბიროს ცენზურამ აკრძალა.

შემდეგი სხდომა 23 მაისს მოხდება.

წერილი ბაქოდან

ბ-ნ ა. **ხოშტარიამ** სპარსეთის ნავთიან და სხვა მადნეულობის თვისი კონცესია დაუთმო თვის თანამემამულეებს ორ მილიონ მანეთად. დაუთმო მეთქი, იმისთვის მოგახსენებთ, რომ ბატონ ხოშტარიას შეეძლო ეს კონცესია ყოველთვის გაეყიდა ათ მილიონად. მაგრამ ბატონმა ხოშტარიამ დასთმო თვისი პირადი სარგებლობა და თანამოძმეებს გაუზიარა.

28 აპრილს შეიკრიბნენ ამ დიდ საქმის დამფუძნებელნი: ბ-ნი ხოშტარია (თავმჯდომარე) ბ-ნი მამულაიშვილი (ხაზინადარი) ბ-ნი ჯაყელი (თავმჯდომარის ამხანაგი) ბ-ნი კვიტაშვილი (მდივანი), ბ-ნი დადიანი და ბ-ნი იოსელიანი.

ამ ახალ საზოგადოებას დაარქვეს **„რუპენტო“** რომელიც ოფიციალურად არსებობს 29 აპრილიდან. უფროს გამგეთ ამირაჯიბი მიიწვიეს და წლიურად ჯამაგირი 30000 მანეთი დაუნიშნეს.

ამხანაგობის დაარსების გამო განზრახული ზეიმის ნაცვლად გადასწყვიტეს გადასდონ გაზეთ „საქართველოს“ ამხანაგობისათვის 1000 მ. ქართულ სკოლისთვის 1000 მ.

ამის გარდა ამხანაგობის ხელშეკრულობის შედგენისათვის გადადებული 1000 მ. ბ-ნ მამულაიშვილის სურვილით, გადაეცემა არა იმას, არამედ გაზეთ „საქართველოს“ ამხანაგობას როგორც ქართველი ერის მთლიან მისწრაფებისა და კერძოდ მრეწველების ინტერესის დამცველს.

საზოგადოება „რუპენტო“ ოფიციალურად არსებობს 29 აპრილიდან. ამავე რიცხვიდან დაიწყო პაიების გაყიდვა. ერთ კვირაში ორი მილიონის პაი გაიყიდა ქართველთა შორის, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ მოქალაქეებზე.

უნდა ვიქონიოთ ღრმა რწმენა რომ ეს საზოგადოება უსათუოდ იხეირებს. ამისი თავმდებია ფინანსიურ წრეებში ცნობილი და დიდი საქმეების შემქმნელი, როგორც სპარსეთში, ბ-ნი ა. ხოშტარია. მთელი ბაქო დღეს მხოლოდ მაზე ლაპარაკობს. ამ საქმეს არა ნაკლებ სამსახურს გაუწევს ბ-ნი მამულაიშვილი, რომელსაც დიდი შნო და უნარი აქვს საქმის გაძღოლისა. ბ-ნი მამულაიშვილს საამისო გამოცდილებაც აქვს, ის არის „ნავთის ქართულ ამხანაგობის“ პასუხისმგებელი პატრონი, სადაც ღირსეულად და პირნათლად ასრულებს თვის მოვალეობას და კიდევაც დააჩნია თავისი გამოცდილი ხელი.

სასურველია „რუპენტოს“ კარგ მსვლელობისათვის დამფუძნებელ კრების წევრი ბ-ნი დადიანი ძლიერ ახლოს იქნებოდეს ამ საქმესთან. იგი ნავთის სფეროში ავტორიტეტად ითვლება და ცნობილია მთელს ბაქოში როგორც შესანიშნავი ინჟინერი. მას ამხანაგობის ყველა წევრი მოწიწებით და მოკრძალვით ეპყრობა, როგორც უმწიკვლო ადამიანს. ასევე ითქმის ბ-ნ ჯაყელზე, რომელიც ითვლება მსხვილ ნავთის მრეწველად. სიხარულით ვეგებებით დიდ საქმეს, რომელიც არის მხოლოდ ქართველების ხელში. ვაშა ბ-ნ ხოშტარიას, რომელმაც პირადი ინტერესი ქართველთა აღორძინების საქმეს ანაცვალა.

დ. ქ—ლი.

ღალატი და მსახიობი ჯენტლმენი

(გაგრძელება)

„ღალატი“ რუსულ სცენაზედ მე წინადაც ბევრჯელ მინახავს. რასაკვირველია სხვა და სხვა ძალებით და რეჟისორულ დაკვირვებით დადგმული. ამიტომ მე უკვე წინასწარ ვიცოდი რას ვნახავდი ან და რა გვარ ფორმებში ჩამოაყალიბებდნენ სახაზინო თეატრში 16 მაისს „ღალატს“.

ყველგან და ყოველთვის ღალატი რუსულ სცენაზედ ჰკარგავს სწორედ იმას, რითაც იგი ძლიერია. „ჰკარგავს მისტერიულ სახეს და მაყურებლის წინ მხოლოდ ტრაფარეტული ხატორა-ღა რჩება.

არა სჩქეფს სცენაზედ ქართული სული, აღარ გვესმის ქართველ ქალის და ვაჟის გულის ცემა, ჩვენ თვალწინა სიყალბეა განცდისა და ამიტომ უცხო, შორეული მასთან არ მშობლიური.

რატომ ხდება მერე ასე? ნუ თუ დაბოლოს რუსეთის მსახიობებს არ შესწევთ ნიჭი და უნარი, რომ გვაჩვენონ ნამდვილი ღვთაებრობა დრამისა? ნუ თუ მათ არ შეუძლიანთ? რასაკვირველია არა.

საქმე იმაშია, რომ სცენიური ხელოვნება უკიდურესი ნაციონალური მოვლენაა. მან იცის მხოლოდ თავისებურება, თავის ერის სახე. ამიტომ ყველა სცენაზედ გამეფებულია ნაციონალიზაცია უცხო ტომთა გმირებისა. რუსის მსახიობი თავის შემეცნებას თავის ბუნების სალაროში აყალიბებს. იგი ჰქმნის იმას, რასაც გრძნობს; ეს გრძნობა კი მეტის მეტად განირჩევა მაგ. ჩვენთაგან. ესევე განმეორდა სახაზინო თეატრშიაც. აქ იყო რუსული ღალატი, რუსული სულის განცდა და მასთანვე რუსული კულტის ფორმათა შებოჭილობა. გასაკვირველი აქ არც არაფერია, იმიტომ, რომ ეს მოვლენა აუცილებელია. შეუძლებელია, რომ პეტროვმა, ან ივანოვმა ხარკოვის ან ტვერის ბუნების შვილმა დაგისახოს და გადმოგცეს ნამდვილი ბუნება, ანანიასი ან ბესოს, რადგან სცენაზედ პეტროვი და ივანოვი სასტიკი რუსიფიკატორები არიან.

მიუხედავად ამისა „ღალატი“ სახაზინო თეატრში მაინც საყურადღებოთ იყო დადგმული. აქ ვნახეთ მაგ. ზოგიერთ როლის სრულებით ახალი განმარტება.

საკმარისი იყო ზეინაბ— იურიევას ხმა ამოეღო გამოსვლისთანავე პირველ მოქმედებაში რომ სრულებით დაერღვია ის ფსიხოლოგიური ატმოსფერა, რომელიც სუფევდა სცენაზედ. იურიევა შინაურულად გამოვიდა, ემთხვია სულეიმანს, დაჯდა მის წინ და სულ უბრალო კილოთი ჩაერია დიალოგში. ცახცახებს ოთარ-ბეგი, ალრაზაკი, ყარაიუსუფი ყოველისფერი საშინელ დესპოტის, სისხლის მსმელ სულეიმან-ხანის რისხვის წინაშე თავზარდაცემას განიცდის, ჰაერი მონური სულის კვეთებას განიცდის, ზეინაბი—იურიევა კი ეს არაფერია: ალბათ თუ სწამ მას თავის ძალა. „ოთარ ბეგ სად არის შენი ქალი, გაიანე“ ჰკითხავს ოთარს და ისეთი შინაურულ სახეს იღებს, რომ მე ველარ გავიგე რათ გაოცდა ან რამ შეაშინა დიდებული ქართლის მოურავი. მეგონა იურიევა თავის სახეს ბოლომდის შეინახავდა, მაგრამ მოვსტყუვდი. ისახართან დიალოგში იქვე პირველ მოქმედებაში უცბად საშინელ დრამატიზმზე გადავიდა და უკიდურესი პაფოსი გადმოგვცა: ასე დარჩა ბოლომდის. შინაურობა და მძლავრი დრამატიზმი არაფრით დაკავშირებული ერთმანეთთან. ზეინაბი-იურიევა სცენაზეც უპირველესად ტრიბუნალია მშვენიერის საგანგებო ხმით მით უმეტეს შუა რეგისტრებზეც. რომ იურიევა მართლაც განიცდიდა ზეინაბს, ამას მე ვერ ვხედავდი, მან ვერ გარდაქმნა თავისი სხეული; მისი სახე, მისი ფიზიკა არა თრთოდა ზეინაბის ტანჯვა-ვაებით. ჩვენ წინ იყო ორატორი რწმენით და არა მსახიობი განცდით.

მეტის-მეტი დრამატიზმი, პაფოსი, მაშინ, როდესაც თვით მდგომარეობაშია იგი, ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზეც. ეს ნაკლი კი ყველას თან სდევდა გარდა თავ. სუმბათაშვილ-იუჟინისა. მარტივი და უბრალო, სრულებით მოკლებული ყალბ კლასსიურ პაფოს ბ. იუჟინი მოქმედებას პირახდილად, გულწრფელად მისდევდა; ამასთანავე დიდის სიმტკიცით იცავდა პრინციპს ჟესტების და მიმიკის ეკონომიზაციისაც. მაგრამ... მე მინდა ჯერ შევეხო იმას, რაც შეცთომათ მიმაჩნია.

იხდება ფარდა და თქვენს წინაა საშინელი სურათი. ყოველისფერი სულეიმანის ვერაგობის წინ თრთის

აზიურ დესპოტიზმს თვით უსულო საგნებიც კი განიცდიან. მართალია სახაზინო თეატრში ეს არ იყო გადმოცემული, მაგრამ მაინც ნება გვაქვს ვიგულისხმოთ: თვით ოთარბეგი გრძნობს ამას და მთელი თავისი გარეგნობით ამასვე ადასტურებს. თავ მოხრილი, გულხელდაკრეფილი შორი-ახლოს სდგას და თვალების აწევას კი ვერა ჰბედავს. თუ რამდენათ განიცდიდა მორჩილობას და შიშს გამოჩნდა თუ გნებავთ იქიდან, რომ საკმაო იყო დაეძახა სულეიმანო, რომ ოთარბეგი-იუჟინი უცბათ უფრო მეტის წელში-მოხრით თითქოს სირბილით გაეშურა მისკენ. ეს მოხდა პირველ მოქმედებაში, მაგრამ ოთარბეგიუჟინს სიტყვა ეძლევა. იგი თავის წარსულს, თავის ერთგულობის მტკიცებას იწყებს. ამ დროს წელში იხსნება, მარჯვენა ხელს მაღლა სწევს და თითს ისე აქნევს თითქოს მორჩა მითნობა და მორჩილებას; თანაც ულვაშზეც ხელს ისვამს, რის დასამტკიცებლად ეს მე ვერ გავიგე. ასეთი ცვალებადობა მდგომარეობაში საშიშია, რადგან მეტად კონტრასტიულია.

ალექსანდრე ახმეტელი.

(დასასრული იქნება)

ქართველ ექიმთა თათბირი

14 მაისს, სალამოს 9 საათზე, თავ.-აზნაურთა საკრებულოში სათათბიროდ შეიკრიბნენ ქართველი ექიმები. კრებას 20 კაცამდე დაესწრო. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა **ს. ს. ვირსალაძე**. კრების უმთავრესი საგანი იყო ქართველ ექიმთა საზოგადოების დაარსების საკითხი.

ბ-ნმა ჩიტო კაპანაძემ კრებას წაუკითხა პრივატ-დოცენტის გ. გ. ლამბარაშვილს წერილი. პატივცემულ **ლამბარაშვილი** სწერს:

„ჩემი ძირითადი იდეია იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ქართველ ექიმთა ცენტრი, რომელსაც მიზნად ექმნება ერთის მხრივ წმინდა მეცნიერული საქმიანობა, ხოლო მეორე მხრივ—კულტურულ-საზოგადოებრივი. ასეთ დაწესებულების დაარსების პრინციპიალურ სურვილის წინააღმდეგ არა მგონია ვინმე იყვეს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საზოგადოება იმდენად საჭიროა, რომ დედა აზრი იმის დაარსების შესახებ არავითარ განმარტებას არ თხოულობს. სულ სხვა საქმეა, თუ რა გზით უნდა განხორციელდეს ეს აზრი. საკითხი ისაა, სად და როგორ გამოიძებნოს სახსარი ამ ჩვენი პროექტის განსახორციელებლად. მე ვფიქრობ, რომ საამხანაგო სამკურნალო, რომ დაარსდეს პაიებით, იგი კარგ შემოსავალს მოიტანს, რომელიც სავსებით მოხმარდება საზოგადოების საჭიროებათ. მაგრამ შეიძლება ვინმემ სხვა უფრო ადვილი გზა გვიჩვენოს, ეს საკითხი უნდა გამოირკვეს ექიმთა საერთო კრებაზე. აგრედვე ამ თავითვე არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, თუ რა ტიპის სამკურნალო უნდა დაარსდეს. ეს საკითხიც აგრედვე უნდა გადაწყდეს ექიმთა თათბირზე“.

პატივცემული პროფესორი სწერს: ბ-ნ ჩ. კაპანაძეს, რომ თუ მოვახერხე როგორმე თბილისში ჩამოსვლა, უეჭველად მონაწილეობას მივიღებ ამ საქმის შესახებ თათბირშიო.

კრებამ ზემო აღნიშნულ წერილის შინაარსი მხედველობაში მიიღო,

კამათი შესახებ იმისა, რომ დაარსდეს თუ არა საზოგადოება, დიდხანს არ გაგრძელებულა. დიდი ხმის უმეტესობით გადაწყდა, დაარსდეს საზოგადოება. კამათი ჩამოვარდა იმაზე თუ რა სახელი დაერქვას ახალ საზოგადოებას. ხმის უმეტესობით გადასწყდა საზოგადოებას ეწოდოს **„ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოება“**, რომლის წევრობის უფლება ექნებათ ბეითლებსა და ფარმაცევტებსაც.

ვინაიდან თბილისში უკვე არსებობს „კავკასიის ექიმთა საზოგადოება“ რომლის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს მეცნიერული კვლევა-ძიება, კრებამ საჭიროდ სცნო, რომ ახალ საზოგადოების წესდებაში უპირველესი ადგილი ჰქონდეს დათმობილი პრაქტიკულ საქმიანობას, ხოლო შემდეგი—თეორეთიულ მხარეს.

ვინაიდან საზოგადოებაში დამფუძნებელ წევრებად ბუნების მეტყველებიც შედიან, ამ უკანასკნელთა შემდეგ თათბირზე მიწვევა დაევალა პატარა კომისიას, რომელშიაც არჩეულ იქმნენ: ექ-ბი მელიქიშვილი, მიქელაძე და კიკალეიშვილი. ამავე კომისიას დაევალა საბოლოოდ შეიმუშაოს პროექტი წესდებისა, რომლის მასალად უნდა გამოიყენოს „ვარშავის ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების“ წესდება და ექ. ს. ს. ვირსალაძის მიერ შემუშავებული პროექტი.

წერილი თელავიდან

15 მაისს დილით თელავის ბოქაულს კ. ახვლედიანს რამდენიმე სტრაჟნიკის თანხლებით შეტაკება მოუხდა 5 ყაჩაღთან სოფ. აწყურის ერთ მახლობელ ხევში. სროლის დროს მოჰკლეს კახეთში დიდი ხნის ცნობილი ყაჩაღი გიგო სესიკაშვილი (ზამბილას ბიჭი). როგორც ამბობენ, ერთი კიდევ დაჭრილია, რომელიც ამხანაგებს გაუტაცნიათ და ტყეში მიმალულან.

მოკლული თელავში ჩამოიტანეს მის მახლობლების საჩვენებლად და გამოსაძიებლად.

პატარა ფელეტონი

სოფლის სურათები.

— ფეხშიშველა მოხუცებულს აეკიდა გოდრით ხილი და ქალაქისაკენ ეჩქარებოდა. დაკონკილი ჩაბალახი და ჩოხა, გვერდზე შებნეული წვირიანი პერანგი და მისი ამხანაგი ფარავდენ მისს გამხდარ და გაბურძგნულ ტანს. დააბედებული ხელებით მწარეთ ჩაფრენოდა თოკს, რომ გოდორი ზურგიდან არ დავარდნოდა. ოფლში იყო გაწურული. ოჰ, რა სევდით სავსე სახე ჰქონდა! მისი თვალები განხორციელებული მწუხარება იყო.

დავაცქერდი, მივესალმე.

— სადაური ხარ?

— თვრამეტი ვერსია ჩვენს სოფლამდის.

— მერე?

— შუა ღამე იქნებოდა, რომ წამოვედი.

— ცხენით?

— ჩვენს სოფელში ცხენი აღარ არის; ბევრს აღარც ხარები ჰყავს.

— ეგებ გშია?

— ქე მაქვს მჭადი და წყალს ქე ვიშოვი სადმე გზაში.

— ვისთან მიგაქვს ეს ხილი?

— შემხვდება ვინმე და იყიდის.

— სახლში როდის დაბრუნდები?

— ამაღამ ვეღარ ავაწევ, წელი მტკივა და მუხლები, დავეგდები სადმე ან წისქვილში, ან ხის ძირში და ხვალ ჩემი მოხუცი დამახვედრებს თბილ მჭადს... წყალი კარგია ჩვენში.

მოხუცი პირდაპირ არ მიცქერდა, ხან მიწას აჩერდებოდა და ხან გვერდზე იყურებოდა.

სული ყელში მომებჯინა. ჩემი არსება თითქოს რაღამაც დაჩხვლიტა. მწარე ფიქრებით მოვშორდი...

კ. ბერეკაშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ხაშურის მომხმ. საზოგადოების კრება

6 მაისს 96 წევრის თანადასწრებით შესდგა ხაშურის მომხმარებელ საზოგადოების „ცხოვრების“ წევრთა ჩვეულებრივი კრება, თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. ლ. ჩიქოვანი. კრების გახსნისას თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ირ. ევდოშვილის ხსოვნას. შემდეგ გამგეობის სახელით ბ. ნ. იმნაშვილმა წაიკითხა მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ ხუთი თვის განმავლობაში, რის შემდეგ გააცნო კრებას კოოპერატივის „ცხოვრების“ საქმის წარმოების ანგარიში:

პასივი.

1. საწევრო	475 მ.	— კ.
2. საპაიო	237 „	— „
3. სხვა და სხვა პირების სესხი	3004 „	90 „
4. წმინდა მოგება	938 „	10 „
	6791 მ.	07 კ.

აქტივი.

1. საქონელი მაღაზიაში	3655 მ.	39 კ.
2. კასაში ნაღდი	1936 „	87 „
3. ინვენტარი	1007 „	22 „
4. წინდაწინ გადახდილი შენობის ქირა და მოსამსახურეთა ჯამაგირი	191 „	59 „
	6791 მ.	07 კ.

სარევიზიო კომისიამ დაადასტურა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და აღნიშნა, რომ ყოველივე ეს შედეგია გამგეობის დაუღალავი და თავდადებული შრომისა, რაიც გამოიხატებოდა იმაში, რომ გამგეობის წევრები თვითონ მუშაობდნენ მაღაზიაში, რათა საზოგადოებას ნაკლები ხარჯი გასვლოდათ მოსამსახურეთა დასაქირავებლად.

საზოგადოებამ თავისი ულრმესი მადლობა გამოუცხადა გამგეობას ნაყოფიერ შრომისათვის. ამის შემდეგ კრებამ დაადგინა წმინდა მოგებიდან (938 მ. 17 კ.) მიეცეს 38 მ. 17 კ. ადგილობრივ დრამატიულ წრეს თეატრის შენობის დასაქირავებელ ფასში დასახმარებლად.

გამგეობის მიერ დასმული საკითხი, თუ რა დამოკიდებულება იქონიოს ადგილობრივმა კოოპერატივმა ამიერ კავკასიის კოოპერატიულ კავშირთან, კრებამ დაადგინა ერთხმად შევიდეს წევრად კავშირში და კავშირის სხდომაზე დასასწრებლად გაგზავნოს თბილისში 15 მაისს გამგეობის წევრი ბ-ნი ნ. იმნაიშვილი.

მოისმინა რა კრებამ გამგეობის მიერ წამოყენებული საკითხი, თუ რა ზომები იქმნეს მიღებული იმ მავნე წევრთა წინააღმდეგ, რომელნიც შეგნებულად ავრცელებდნენ ხალხში იმ აზრს, ვითომ კოოპერატივი ძირს უთხრიდეს მის კეთილდღეობას, დაადგინა: მიეცეს გაფრთხილება ასეთს წევრთ, თუ კი ისინი მართლა არსებობენ, რომ მეორეჯერ, თუ სურთ წევრებად დარჩენა, რაიმე ამის დაგვარი არაფერი ჩაიდინონ.

ამის შემდეგ გამგეობის სახელით ბ. ნ. იმნაიშვილმა მოახსენა კრებას, რომ გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, როგორც ეს იყო გამოცხადებული, მთელი თავისი შემადგენლობით გადადგეს და წინადადება მისცა კრებას დაასახელოს გამგეობის ახალი წევრები. მიზეზათ ასეთი მოვლენისა დაასახელა ერთის მხრივ მოქანცულობა, მაგრამ უმთავრესად კი მოქმედება იმ მავნე პირთა, რომელნიც ამხედრებულნი იყვნენ არსებულ გამგეობის წინააღმდეგ და ათასნაირს ჭორებს ავრცელებდნენ მათს შესახებ. კრებამ ერთხმად სთხოვა გამგეობას საზოგადო საქმის წინსვლისათვის დარჩენილიყო ისევ თავის ადგილს და განეგრძო წინანდებურად მუყაითი მუშაობა, ხოლო მიილო რა მხედველობაში თითქმის აუტანელი ტვირთი დაკისრებული მხოლოდ ხუთი კაცისაგან შემდგარ გამგეობაზე, გადასწყვიტა ამოერჩია კიდევ ოთხი წევრი მისამატებლად.

ამორჩეულ იქმნენ მღ. პ კაპანაძე, მ. თხელაძე, ი. ყაჭიეშვილი და დ. მელიქაძე.

დამსწრე.

მოწოდება

თბილისის ქალთა ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო საბჭოსი

ყველას კარგად მოეხსენება, რა დიდია ჩვენს ხალხში წყურვილი სწავლაგანათლებისა და მასთანვე ყველამ კარგად იცის რა მცირეა ის საშუალება, რომლითაც მას ანგარიშს უწევენ და აწოდებენ ასეთის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ჩვენი საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თუმცა ქართველი ერი მძიმე და აუტანელ პირობებში სცხოვრობს, მაგრამ მაინც თავის ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ეს წმინდა მისწრაფება სწავლა-განათლებისაკენ ჩვენს ერში არ დაიხშოს და არაფერსა ზოგავს, ამ მხრივ მას მფარველობა გაუწიოს.

ყველა ეს მაინც საკმარისი არ არის.

განა საკმარისია ბავშვი მარტო სკოლაში მისცე, სადაც მას შეუძლიან სწავლა შეიძინოს? მოვალენი ვართ ისეთი პირობებიც შევქმნათ, რომ ბავშვის აღზრდის ზნეობრივი სიფაქიზე და ფიზიკური სისაღე დაცული იქნეს.

თბილისის ქალთა ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო საბჭომ კარგა ხანია ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და ქართული გიმნაზიის მოწაფეთათვის დაარსა უფასო სასადილო, რომელიც ბავშვთა გონების წარმატების მხრივაც ფრიად ნაყოფიერი გამოდგა.

ეხლა იმავე ქალთა საბჭოს აზრდა აქვს დაარსოს ქალთა ქართულ გიმნაზიის ულარიბეს მოწაფეთათვის თავშესაფარი.

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ ჩვენ ქართულ გიმნაზიებში უფრო ხელმოკლე სოფლის მცხოვრებთა შვილები იზრდებიან, ხელმოკლე სოფლელ მშობელს კი შეძლება არა აქვს ბავშვები კარგ ბინაზე მოათავსოს, ვინაიდან ძვირად ჯდება ამგვარი ბინა. ბავშვის ჯანსაღობისათვის, მისი ენერგიის ეკონომიისა და გაძლიერებისათვის კი საჭიროა საკვებზე უფრო მეტად კარგი ჰიგიენური ბინა. ამ აზრით გამსჭვალული **„თბილისის ქალთა ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო საბჭო“** მიმართავს ჩვენს საზოგაებას და სთხოვს ერთხელ კიდევ მისცეს ჩვენ ერს თავისი გულუხვობისა და საქმის სიყვარულის საბუთი და ნუ დაიშურებს თავის წვლილს ამ დიდი საქმის განსახორციელებლად.

ამ საქმის შესრულებით ჩვენ დავუარსებთ ბავშვებს თავშესაფარს—ეგრედ წოდებულ პანსიონს, სადაც მოთავსებულნი იქნებიან ულარიბესი მოწაფენი ქალთა ქართულ გიმნაზიისა, რომელთაც მიეცემა საცხოვრებელი ბინა შესაფერისი საჭმელ-სასმელით, მოვლით და თვალყურის დევნით.

რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს პანსიონს, იგი მაინც იმ ბინებს ემჯობინება, რომლებშიაც ქალთა ქართულ გიმნაზიის ბავშვების უმრავლესობა სცხოვრობს, ხოლო თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ამგვარი თავშესაფარი გამორჩენის აზრით და კომერციულის მიზნით კი არ არსდება, არამედ საზოგადოებრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მაშინ, რასაკვირველია, საქმის დიდმნიშვნელობისა და მიუცილებლობის ეჭვი არავის აღეძვრება და ქართველი საზოგადოება, იმედია, ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ამ ფრიად საჭირო საქმის განხორციელებას.

თბილისის ქალთა ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე: **კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა.**

შემოწირულებას მიიღებენ შემდეგი პირნი: 1. ხაზინადარი კნ. ეკატერინე მიხეილის ასული ერისთავისა (განოვის ქუჩა № 22.) 2. ქ-ნი პელაგია ანტონ დაფქვიაშვილის ასული (ნიკოლოზის ქუჩა № 45).

თეატრი და ხელოვნება

ვლ. ალექსი-მესხიშვილი ორი წლის დუმილის შემდეგ „ურიელ აკოსტას“ საშუალებით აახლებს სასცენო მოღვაწეობას, რა თქმა უნდა, **ჩვენს** სცენაზე. უნდა გამოტეხით ვსთქვათ, პიესის დადგმა არაფრით განსხვავდებოდა იმისგან, რაც გვინახავს მთელს ამ ათ-თხუთმეტი წლის განმავლობაში. ყოველისფერი ჩვეულებრივი იყო. არავითარი ცვალებადობა რეჟისორის მხრით, იგივე კასტიუმები, იგივე ნარევი სტილი, იგივე მსახიობნი იმავე როლებში. ერთი რამ იყო სხვა და ეს ცვალებადობა შეიტანა თვითონ ბ-ნმა მესხიშვილმა, ცვალებადობა საგრძნობელი, ცვალებადობა სამწუხარო: ჩვენი აპოლო აღარ არის ცეცხლით აღგზნებული ძველი მშვენიერებით ღმერთი. საეჭვო გარდატეხა მოუხდენია მის დიად ბუნებაში ყველაფრის ჩამოგვირგვინებულს მოხუცებას. „აკოსტა“ უწინდელი მესხიშვილისა, ეს სინაზისა და რისხვის ქარიშხალის წინამორბედი, დღეს სიტყვების მძებნელი აკოსტა გვლონებთ, ერთგვარს სინანულს გაგრძნობინებთ...

სხვაფრივ რა შეიძლება ითქვას იმაზე მეტი, რაც თქმულა და როგორც დაუხასიათებიათ მსახიობნი? იმედაშვილის დე-სანტოს, თქმა არ უნდა, საუცხოვო იყო, როგორც ივდითი ქ-ნ დავითაშვილისა.

კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა ბ-ნ კორიშელის დე სილვა.

ბ-ნი გუნია ბენაკიბას როლში და გედევანოვი მნასეს როლში საკმაოდ აკმაყოფილებდნენ დამსწრე საზოგადოებას.

ბენიოხაი მაინცა და მაინც ვერაა ხეირიანად განვითარებული პიესაში და ზარდალიშვილიც ამაოდ სცდილობდა ხორც შესხმულ ეყო იგი.

ესთერია აკოსტას დედის როლი ქ-ნმა ბეჟანიშვილმა ვერ დასძლია. მას უბრალო, ელემენტარი ფსიხოლოგია ბრმისა არა სცოდნია, თუ როგორ და რანაირად უნდა ამოეცნო დიდი ხნის უნახავი შვილის სახეზე დაღად დასმული მწუხარება. შვილის ჩივილის დროს მისი გაცივებული სახის მეტყველება და ბოლოს დაბლავლება ეუცნაურა ყურს, არ იყო თანდათანობითი ფსიხოლოგიური განვითარება. ზომა, ტემპერამეტის კულტურა საზოგადოდ უცნობი ხილია ჩვენს მსახიობთათვის. ეს თვალსაჩინო იყო ბეჟანიშვილის ესთერში, ვისაც ხელოვნებად წარმოუდგენია უცნაურად პირუტყულად შებღავლება.

საზოგადოდ პიესა გაცილებით მდარედ დაიდგა, ვიდრე ეს ყოფილა წასულ წლებში. საგულისხმიეროა სწორედ...

ვიდრე წერტილს დავსვამდეთ, მცირე შენიშვნა მსახიობთ: არ არის კარგი წარმოდგენის დროს ნახევრად კარებების გამოღება და ბჭყრიალა სამოსელით სადაფლო კოკონებსავით ყურება: დამსწრე საზოგადოების ყურადღება იყოფა და მით შთაბეჭდილებაც იკარგება.

დიოგენი.

დაბა-სოფლები

ქვემო რაჭა. ამ ბოლო დროს ქვემო რაჭამ განათლების მხრით რამოდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია. ვერ იპოვით ისეთ საზოგადოებას, სადაც არ იყოს სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებები. ყველგან შეხვდებით ორკლასიან სასწავლებელს, სამკითხველოს, კოოპერატიულ დუქანს, საკრედიტო ამხანაგობას და სხვა. ხალხიც განათლების გზას დაადგა. აქაურ სამკითხველოში ყოველთვის ნახავთ გლეხებს, რომლებიც გულმოდგინეთ კითხულობენ სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებს.

წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს... მეტად სასიამოვნო სანახავია ნამყენი ვენახები (ძველი სულ მოისპო გარდა ხვანჭვარისა და ტოლასი) ვაზები გაფოთლილია და ბლომათაც ასხია. მაგრამ გლეხები ამას თვალცრემლიანი, უიმედოთ შეჰყურებენ. გრძნობენ, რომ წელსაც იგივე დაემართებათ, უწამლობის გამო, რაც შარშან. ყველა [illegible] [illegible] არის შაბიამანში [illegible], რასაც მოსთხოვენ, თუ კი იშოვის. მაგრამ სად არის?! ყველა სოფლების საკრედიტო ამხანაგობებმა კარგა ხანია, რაც შეაგროვეს ფული და გამოიწერეს შაბიამანი, მაგრამ მიღებას ვეღარ ეღირსნენ. ვენახებს კი წამლობა დაუგვიანდა, რამაც სასოწარკვეთილებაში ჩააყენა ხალხი...

ამ ბოლო დროს დ. ონიდგან ებრაელებს მოაქვთ ყველა სოფლებში ფხვნილი შაბიამანი. გლეხები სიამოვნებით ყიდულობენ 2 მანეთად გირვანქას, მაგრამ ეს შაბიამანი კარგი ვერ არის. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

ფუთი მარილი ზოგან 2 მანეთად იყიდება, ზოგან მეტად, გირვანქა ნავთი 9—10 კაპ. ოყა ხორცი (3 გირვ.) 1 მ. 20 კ.—1 მ. 40 კ. კოდი სიმინდის ფასი 5 მანეთამდის ადის.

პ. შარაბიძე.

შემოწირულება

ქართველ ქალთა ჯრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ გამართულ ალეგრისათვის საზოგადოებამ მიიღო შემდეგი დახმარება:

„კახეთი“-ს საზოგადოებისაგან ოცდა ათი ბოთლი ღვინო, ბ. ლაღიძისაგან სამოცი ნახევარ-ბოთლი ლიმონადი, ქ-ნ ნინო ნიკ. გაბაშვილისაგან რამდენიმე ძვირფასი ნივთი და ცხვარი, კნ. სალომე გიორ. ამირაჯიბისაგან ვერცხლის საათი და რამდენიმე ძვირფასი ნივთი, კნ. სოფიო ესტატეს ასულის რატიშვილისაგან 25 მ. ბუფეტის მოსაწყობად, პ. გ. მამრაძისაგან თავადაზნაურთა ქარვასლაში მოქირავეთა შორის შეგროვილი 26 მ. და რამდენიმე ნივთი, მილოვის მაღაზიიდგან 47 მ. ღირებული რამდენიმე ნაჭერი მშვენიერის მატერიებისა, ქირარდის მაღაზიიდგან ორი მორთული ბლუზი, ბბ. გურგენოვისაგან, ლისინოვისაგან, ასტვაცატუროვისაგან, კაჭკაჭოვისაგან, ახშარუმოვისაგან, სიმონიანცისაგან, ნიკოლოსოვისაგან, კაფიევისაგან, ნაზარბეგოვისაგან, პულინოვისაგან და აბხაროვისაგან რამდენიმე ნივთი თითოსაგან; ცინდელისაგან რამდენიმე ნაჭერი მატერიისა და მიტკლისა, პ. დაროჟნოვისაგან მშვენიერი ნაჭრები მატერიებისა, მაიზელსონისაგან რამდენიმე ვერცხლის სამკაული, ს. პივოვაროვისაგან ორი ვერცხლის ჟეტონი, Т. Проводникъ სტაქნის ჩასადგმელი ფრაჟესი და სხვებისაგან, რისთვისაც ულრმეს მადლობას სწირავს ყველა ზემო აღნიშნულ ბატონებს ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების **კომიტეტი.**

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვოთ და ჰხან ეცით მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულ ნამდვილი წყალი და გაფრთხილდით, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზრდილია [illegible] [illegible] მხმარებელი საზოგადოება, თავისიანი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტებით მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტს ნიშანი შემდეგია

ქუთაისში

თბილისში

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელი ნამდვილი ხილის მასალებისაგან, [illegible] [illegible] [illegible]

სუნი და გემოც საამური აქვს.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეჯველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საცალო სახ. „ლ. მაილოვს-ზეით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითი ხიზილალა, მეტად მარილიანი, ზაქი „მეზიზნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, [illegible] [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის [illegible] ინახება.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 1.